## მიკროსაფინანსო ინსტიტუტების გავლენა მოსახლეობის სოციალურ დგომარეობაზე

ქეთევან ჭანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

მიკროსაფინანსო სექტორი, როგორც სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია. სწორედ, მიკროსაფინანსო სექტორის დახმარებით ხორციელდება სოციალურად მოწყვლადი<sup>1</sup> ჯგუფებისა და მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის მისაწვდომი საკრედიტო პროდუქტის შექმნა. მიკროსაფინანსო ინსტიტუტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის. სწორი რეგულირების პირობებში მიკროსაფინანსო უაღრესად დადებითი წვლილის შეტანა შეუძლიათ მოწყვლადი სოციალური ფენის ფინანსური ინტეგრაციისა და ინკლუზიური<sup>2</sup> ეკონომიკური ზრდის სტიმულირების საქმეში. რამდენად ასრულებს მზარდი ქართული მიკროსაფინანსო ბაზარი მასზე დაკისრებულ ფუნქციებს? რა დამოკიდებულებაა მიკროსაფინანსო ბაზრის მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს შორის? როგორია სესხების მზარდი რაოდენობის დადებითი და უარყოფითი მხარეები? და შეაქვს თუ არა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს რეალურად თავისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში? ამ საკითხებთან დაკავშირებით მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია: ფაქტები, დაშვებები და ანალიზი.

მხოლოდ ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთებული გონივრული დაშვების საფუძველზე ჩატარებული ანალიზი იძლევა საშუალებას, გავცეს პასუხი დასმულ კითხვებს, გამოიკვეთოს არსებული პრობლემის რეალური კონტურები და განისაზღვროს აღნიშნული საკითხების რეგულირების ძირითადი მიმართულებები.

თანამედროვე მიკროსაფინანსო ინდუსტრია მოიცავს 17 ლიცენზირებულ საკრედიტო კავშირს, 21 კომერციულ ბანკს და 80-მდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებენ ქართულ მიკროსაფინანსო

<sup>1</sup> მოწყვლადი – განსაკუთრებული ზრუნვისა და საკითხების მქონეს, ასეთ ჯგუფებს მიეკუთვნებიან სხვადასხვა პირები: სოციალურად დაუცველები, შეჭირვებულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონეები, პაემნები, ქალები, მოხუცები, სხვა.

<sup>2</sup> ინკლუზიური – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე






ბაზარზე.<sup>3</sup> თითოეული მათგანი ახორციელებს კანონით ნებადართულ საქმიანობას და საფინანსო სექტორი განსაკუთრებული ზრდით ხასიათდება. თუმცა, თანამედროვე ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზით იკვეთება ისეთი ასპექტები, რომელმაც უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს არსებული ბაზრის მომხმარებლებზე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ("მისო") სტატუსის მქონე საქართველოს ეროვნულ ბანკში დარეგისტრირებული 80-მდე (300-მდე ფილიალით) ინსტიტუტიდან უმრავლესობა თავისი შინაარსით სამომხმარებლო ფინანსების კომპანიას წარმოადგენს.<sup>4</sup> მათი საქმიანობა კანონიერია, მაგრამ გასესხება ეფუძნება არა მომხმარებლის შემოსავლების ანალიზს, არამედ მის მიერ სესხის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი წიგთის ან ქონების (ძვირფასეულობა, ავტომობილი ან უძრავი ქონება) შეფასებას, ხოლო სახსრები ძირითადად მიემართება სამომხმარებლო საჭიროებისათვის. გასესხება, მომხმარებლის ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის გარეშე, ჭარბი საკრედიტო ტვირთის წარმოშობის მიზეზი შეიძლება გახდეს. სავსებით შესაძლებელია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ბიზნეს-დაკრედიტებასთან ერთად გასცემდნენ სამომხმარებლო სესხებს ან აწარმოებდნენ სალომბარდო ოპერაციებს, მაგრამ სამომხმარებლო სესხების წილი, მიკროსაფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო პორტფელის მცირე ნაწილს უნდა შეადგენდეს. საპროცენტო განაკვეთი ამ სექტორში საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით ავტოსესხებზე და სალომბარდო სესხებზე. ეროვნული ბანკის მიერ არ წარმოებს მიკროსაფინანსო სექტორის შესახებ ისეთი სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება, როგორც საბანკო სექტორის შესახებ მზადდება. შესაბამისად, ოფიციალური სტატისტიკა საპროცენტო განაკვეთების შესახებ არ არსებობს. მაგრამ, ბაზარზე მიმწოდებლების მიერ შემოთავაზებული პირობების გაანალიზებით შესაძლებელია საშუალო საპროცენტო განაკვეთის გამოყვანა. მონაცემები ცხადყოფს, საპროცენტო განაკვეთები ცალკეული პროდუქტების მიხედვით 18-დან 70%-მდე მერყეობს. რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მსგავს განაკვეთებს, როგორც საქართველოშია, ხშირ შემთხვევაში მიყვავართ მოსახლეობის გაღარიბებისკენ, ვინაიდან, რამდენად გადახდის უნარიანი უნდა იყოს ფიზიკური პირი, რომ 30-დან 60%-მდე სესხი უზრუნველყოს. მსგავსი პირობების შედეგი ხშირ შემთხვევაში არის მსესხებლის მიერ უძრავი ქონების დაკარგვა.

გრაფიკი 1. მიწოდების მრუდი და მოთხოვნის მრუდი 2011-2014 წლებისათვის (2014 წლის მხოლოდ სამი კვარტლის მონაცემებია მოყვანილი)

<sup>3</sup> <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=400>

<sup>4</sup> <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=400>



მიკროსაფინანსო ბაზარი, მოკლე პერიოდში, მცირე ბაზრიდან ჩამოყალიბდა, მზარდ კონკურენტულ ბაზრად, კონკურენტული ბაზრისათვის დამახასიათებელი მოთხოვნისა და მიწოდების კანონებით.<sup>5</sup>


წარმოდგენილი შრუდით იკვეთება, რომ მიკროსაფინანსო ბაზარს კონკურენტული ბაზრის თვისებები აქვს. ეს დასტურდება გაცემული სესხებისა და მათზე დარიცხული პროცენტების დინამიკით. (გრაფიკი 1)<sup>6</sup> 2006 წელს თუკი რეგისტრირებული „მისო“-ების რაოდენობა იყო 3, დღევანდელი მონაცემებით მათი რაოდენობა დაახლოებით 26-ჯერაა გაზრდილი. ზრდის ასეთი ტენდენციის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს პროცენტის კლება, თუმცა შეიძლება შეიქმნას საშიშროება, რომ აღნიშნულმა პროცესმა გამოიწვიოს ქარბვლიანობა და მოსახლეობის გაღარიბება. ამ პრობლემის საფუძვლიანი კვლევებისა და შესაბამისი ზუსტი მონაცემების არარსებობის გამო, მტკიცებით ფორმაში საუბარი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზრდასა და მოსახლეობის სიღარიბეს შორის პირდაპირი კავშირის შესახებ არასაფუძვლიანია, თუმცა, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ვარაუდის გამოთქმა, მათ შორის არსებული პირდაპირი და არასახარბიელო კავშირის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, განვიხილოთ მიკროსაფინანსო ბაზრის ზრდის ტენდენცია მოსახლეობის დასაქმების, მათი საერთო შემოსავლების, მშპ-სა და საერთო ეკონომიკური ზრდასთან მიმართებით.<sup>7</sup>

დიაგრამა 1. დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით 2006-2013 წლებში

<sup>5</sup> ეკონომიკსი. გრ. მენქიუ. 2008 წელი.

<sup>6</sup> <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=400>

<sup>7</sup> [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=1144&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=1144&lang=geo)



დასაქმებულთა რაოდენობა 2006-2013 წლებში ნაჩვენებია დიაგრამა 1-ზე. როგორც დიაგრამაზეა ნაჩვენები თვითდასაქმებულთა რაოდენობა გაცილებით მეტია დაქირავებულთა რაოდენობაზე, დაქირავებით მომუშავეთა უმრავლესობა, ვისაც ხელფასი საშუალებას აძლევს, სესხს იღებს კომერციული ბანკებიდან, დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ამიტომ ანალიზის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს თვითდასაქმებული მოსახლეობა, რომელთაც არ შეუძლიათ კომერციული ბანკების რთული პროცედურების გავლა და გაცილებით მარტივად და სწრაფად იღებენ სესხს ბაზარზე მრავლად მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან. თუ განვიხილავთ ცალკეული დარგის ხვედრით წილს მთლიან საკრედიტო პორტფელში (დიაგრამა 2), გვეჩვენა შემდეგი სურათი.\*

დიაგრამა 2. ცალკეული დარგის ხვედრითი წილი საკრედიტო პორტფელში წლების მიხედვით



წარმოდგენილ დიაგრამაში სესხის მნიშვნელოვანი წილი მოდის ფიზიკურ პირებზე გაცემულ სამომხმარებლო სესხებზე. თუკი 2011 წელს ლიდერობდა ვაჭრობისა და მომსახურების სექტორი, 2012 წლიდან სხვა დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხი მნიშვნელოვან კლებას განიცდის მეტისმეტად შზარდი


\* <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=400>





სამომხმარებლო სესხის ფონზე. ჩვენი დაშვების თანახმად მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კლიენტურას წარმოადგენენ ის ფიზიკური პირები, რომლებიც ვერ ახერხებენ სესხის კომერციული ბანკებიდან აღებას. ამ კატეგორიას კი წარმოადგენს თვითდასაქმებულთა და უმუშევართა მნიშვნელოვანი ნაწილი. 2011 წლის მონაცემებით თვითდასაქმებული ქალებისა და კაცების საერთო რაოდენობა შეადგენს 1025,42 ათას კაცს, მაშინ როდესაც ფიზიკურ პირებზე მისოს მიერ გაცემული სესხების რაოდენობა შეადგენს 97 764 . თუ ვივარაუდებთ, რომ ამ სესხებით დაახლოებით ამდენივე პირმა ისარგებლა, ვლებულობთ, რომ დაახლოებით 9% სარგებლობდა „მისოს“ მომსახურებით 2011 წელს. 2012 წლისათვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა 16%-მდე, 2013 წლისათვის კი აღწევს მაქსიმუმს და შეადგენს 20%-ს. მაშასადამე, იკვეთება, რომ დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა სტაბილური რიცხვის (თითქმის უცვლელი) ფონზე მნიშვნელოვნად იზრდება მისოს მიერ ფიზიკურ ფირებზე გაცემული სესხების რაოდენობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკურ პირთა ჭარბვალიანობა. გადავხედოთ მთლიან შიდა პროდუქტს ერთ სულ მოსახლეზე ამავე პერიოდში (გრაფიკი 2), მოცემული გრაფიკიდან ჩანს, რომ მშპ მზარდია, თუმცა ის ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს სრულად, ამიტომ მოსახლეობა სულ უფრო მეტად მიმართავს გამარტივებული სესხის პოლიტიკას. ცხადია, რომ წლების მიხედვით საერთო ეკონომიკური მდგომარეობა გატარებული რეფორმების ფონზე წინ მიიწევს, თუმცა მარტივად მისაწვდომი მიკრო სესხი მოსახლეობის საერთო სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს. სამომხმარებლო სესხების მხოლოდ რაოდენობა 2011-2014 წლებში გაიზარდა 17%-ით, მაშინ როდესაც თვითდასაქმებულთა და ზოგადად დასაქმებულთა რიცხოვნობა სტაბილურია (თითქმის არ იცვლება), ხოლო თვითდასაქმებულთა საშუალო წლიური შემოსავალი მაგალითად 2011-2013 წლებში გაიზარდა დაახლოებით 36%-ით (გრაფიკი 3). გამოდის, რომ ჩვენი სამიზნე ჯგუფის დასაქმების დონე მეტწილად სტაბილურია, შემოსავლები მზარდი, ხოლო მიკრო სესხები ორჯერ მეტად მზარდი. საბოლოოდ კი მოსახლეობის შემოსავლებზე ორჯერმეტად მზარდი სამომხმარებლო სესხები მოსახლეობას გაღარიბებამდე მიიყვანს.

გრაფიკი 2. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სა და თვითდასაქმებულთა საშუალო წლიური შემოსავალი 2006-2013 წლებში





გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით ჩატარებული კვლევის „ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში“, თანახმად „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 45% ცხოვრობს. 2004 წლიდან 2008 წლამდე საშუალო წლიური ეკონომიკური ზრდა 6,8%-ს შეადგენდა. ეს ზრდა დროებით შეჩერდა 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს, თუმცა ორმაგი შოკის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად აღსდგა. მიუხედავად ამისა სიღარიბე კვლავაც პრობლემად რჩება. ეკონომიკური ზრდა ავტომატურად არ განაპირობებს დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს, დასაქმებულთა დიდი ნაწილი თვითდასაქმებულია, მათი დიდი ნაწილი ნატურალურ მეურნეობას მისდევს და აქედან გამომდინარე დასაქმება კვლავაც რჩება უმთავრეს სახელმწიფოებრივ პრობლემად. სოციალური მდგომარეობის ასეთ ფონზე მეტისმეტად სწრაფად განვითარდა სასესხო ინსტიტუტები, ამიტომ ჩვენს მიერ მოყვანილი მონაცემები და ჩატარებული ანალიზი არც თუ ისე უსაფუძვლოა. ის პრობლემა, რომელიც ბოლო პერიოდში შეიქმნა, როდესაც მოსახლეობის ნაწილი საცხოვრებლების გარეშე დარჩა, როდესაც 2012 წლის მონაცემებით 175 000 საკრედიტო ხელშეკრულება იქნა რეგისტრირებული უიმედო ვალად და მოსახლეობის დაახლოებით 22%-ს<sup>9</sup> აქვს რომელიმე ბანკის, სხვა დაწესებულების ან ნათესავების ვალი, სწორედ აქედან მომდინარეობს. მიუხედავად იმისა რომ, ჩვენს მიერ აღნიშნულია მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ისტორიული დანიშნულება, მათი დადებითი როლი ქვეყნის ეკონომიკაში, ზოგადად საპროცენტო განაკვეთების კლება ბაზრის ზრდასთან ერთად, დასაქმებაში შეტანილი მცირედი წვლილი, თუ ამ ყველაფერს დავუპირისპირებთ იმ უარყოფით ფაქტორებს რაც ახლავს მიკროსაფინანსო ინსტიტუტების შზარდ ბაზარს დავინახავთ, რომ პრობლემა მწვავეა, რასაც დღევანდელი რეალობაც ადასტურებს, ამიტომ აუცილებელია, დარეგულირდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან სესხების გაცემის პროცედურა, და არსებული კანონმდებლობა არ იყოს მხოლოდ ფორმალური. სახელმწიფო რეგულაციებთან ერთად, საჭიროა გაცემული სესხების მიზნობრიობის კონტროლი. გაეროს მეთოდოლოგიით მიკროკრედიტის მაღალი ზედა ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის სამმაგ მოცულობას, ამ მეთოდოლოგიით საქართველოში მიკროკრედიტის ზედა ზღვარი 18

<sup>9</sup> ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში. ფ.გასმანი, გ. ბერულავა, მ. თოქმაშაშვილი. 2013





000 ლარი იქნებოდა და ამ პირობებში სექტორის ზრდა ვერ იქნებოდა ისეთი მაღალი, როგორც დღეს არის.<sup>10</sup> ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ მიკროსაკრედიტო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოზე არასწორია, თვითონ მომხმარებელსაც შეუძლია უარყოფითი როლის შესრულება და სამომხმარებლო სესხის აღება სხვადასხვა ძვირადღირებული ნივთის შესაძენად, ყოველგვარი რისკების გათვლის გარეშე. სწორედ ასეთი შედეგების თავიდან აცილებისთვის არის საჭირო სესხების მიზნობრიობის კონტროლი. საფინანსო სფეროში უამრავი რისკია და კლიენტი ხშირად ვერ აცნობიერებს საფრთხეს. ამიტომ, ქვეყანაში შექმნილი არასახარბიელო ეკონომიკურ ვითარება, სოციალური პრობლემები და კლიენტების გაუცნობიერებელი ქმედებები საკრედიტო დაწესებულებებმა თავიანთ სასარგებლოდ არ უნდა გამოიყენონ. მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მართლაც შეძლებენ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას ქვეყნის ეკონომიკასა და მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიქსი. გრ. მენქიუ. 2008 წელი.
2. საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. 2013 წელი. მარტი.
3. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის პოტენციური დონის შეფასება. ა. ინაიშვილი. სებ. 2010 წელი
4. საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა. 2003 წელი
5. საქართველოს მთავრობა. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2015-2018 წლებისათვის
6. მიკროსაფინანსო სამყარო. ა. ბაკურაძე ჟურნალი Forbes Georgia. 30.09.2014 წელი
7. საქართველოს მთავრობა- „საქართველო 2020“
8. საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“
9. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ ივნისი 2014
10. ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში. ფ.გასმანი, გ. ბერულავა, მ. თოქმაშაშვილი. 2013

<sup>10</sup> გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ ივნისი 2014





11. საქართველოს ეროვნული ბანკი - „ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები“
12. საქართველოს კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“
13. E+Z - Entwicklung und Zusammenarbeit (Nr. 11, November 2000, S. 310 – 312)
14. Микрофинансирование, как способ кредитования заемщиков. Васина Н.В 2009
15. (<http://www.nbg.gov.ge/index.php?m=400>)
16. [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=1144&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=1144&lang=geo)
17. <https://www.ecb.europa.eu/home/html/index.en.html>

### რეზიუმე

#### მიკროსაფინანსო ინსტიტუტების გავლენა მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე

ქეთევან ჭანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

მიკროსაფინანსო სექტორი, როგორც სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია. სწორედ, მიკროსაფინანსო სექტორის დახმარებით ხორციელდება მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის მისაწვდომი საკრედიტო პროდუქტის შექმნა. მიკროსაფინანსო ინსტიტუტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის. სწორი რეგულირების პირობებში მიკროფინანსებს უაღრესად დადებითი წვლილის შეტანა შეუძლიათ ღარიბი სოციალური ფენის დახმარებაში. სტატიაში განხილულია ის ნეგატიური ფაქტორები, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მსესხებელთა გადახდისუნარიანობაზე და კიდევ უფრო დაამძიმოს მოსახლეობის დუბჭირი სოციალური მდგომარეობა.



## SUMMARY

### The Influence of Microfinance Institutions on Social Condition of the Population

Ketevan Tchanidze

Batumi Shota Rustaveli State University

PhD student of Economics and Business Faculty

Microfinancial sector, as one of the main instruments of overcoming the poverty is important element of social-economic development of the country. The microfinance sector is the very sector with the support of which accesable credit product for poor population is created. Microfinancial Institutions are especially important for developing countries. In conditions of proper regulation contribution of microfinance in assistance of poor social class is highly positive. The article deals with negative aspects, which could adversely influence the solvency of the population and intensify the miserable social condition of the population.





## საქართველოს კანონი

### „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

#### მუხლი 1.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22, 18.05.2005, მუხ. 151) პირველი მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასთან და ნაღდი ფულით ქვეყნის ეკონომიკის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშგების გარე აუდიტის განსახორციელებლად აუდიტორული ფირმის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებული ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტიდან გამომდინარე შესყიდვები, გარდა არამატერიალურ აქტივებთან, ოქროს ზოდებთან, საკოლექციო ან/და სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილ ლარის ბანკნოტებსა და მონეტებთან, აგრეთვე ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუცირებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვებისა, რეგულირდება ამ კანონით;“.

#### მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 4 თებერვალი 2015 წ.

N3018-III



## საქართველოს კანონი

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

### მუხლი 1.

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 03.01.2014, სარეგისტრაციო კოდი: 310150000.05.001.017312) 62-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გზისთვის ვარგისობაზე ტესტირებას საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება, გარდა ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის სრული მასა 3 500 კგ-ს აღემატება, მზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძლოლის ადგილისა, 8-ს აღემატება, და იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლითაც გადაიზიდება „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-20 პუნქტით გათვალისწინებული სახიფათო ტვირთი, დაექვემდებაროს 2017 წლის 31 დეკემბრიდან.

6. გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება 2017 წლის 31 დეკემბრამდე შეიძლება ნებაყოფლობით ჩაუტარდეს იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომელიც, ამ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გზისთვის ვარგისობაზე ტესტირებას ექვემდებარება 2017 წლის 31 დეკემბრიდან.“.

### მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 19 თებერვალი 2015 წ.

N3093-IIIს



## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №62

2015 წლის 25 თებერვალი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“  
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის N1226 ბრძანებაში  
ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

## მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის N1226 ბრძანებაში (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებულ დანართ №2-ში:

ა) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

468	4108	ა(ა)იპ - ზუგდიდდასუფთავება
-----	------	----------------------------

ბ) №674 ბიუჯეტის განმკარგველის - „4314“-ის (ა(ა)იპ - ეროვნული სკრინინგ - ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასური) შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„675	4315	ა(ა)იპ - „ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური“
676	4316	ქ. ქუთაისის ააიპ - „სპეციალური სერვისები“
677	4317	ა(ა)იპ - „ქ. გორის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების და მოვლა-პატრონობის
678	4318	ა(ა)იპ - ქ. თელავის სპორტული კლუბთა გაერთიანება „თელავი“
679	4319	ა(ა)იპ - ქალაქ ახალციხის „სათნობის სახლი“
680	4320	ა(ა)იპ - „თბილისელების ადვოკატი“.

2. ბრძანებით დამტკიცებულ დანართ №3-ში (ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო



კოდები):

ა) სახაზინო კოდი - „3460“-ის (წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრები) შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდი:

მიზნობრივი გრანტი	7000
-------------------	------

ბ) სახაზინო კოდი - „7520“-ის (ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო) შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდები:

შემოსულობა სსიპ/აიპ-ს საკუთრებაში არსებული სხვა კულტივირებული აქტივების გაყიდვიდან	7620
შემოსულობა სსიპ/აიპ-ს საკუთრებაში არსებული სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	7630

გ) ამოღებულ იქნეს სახაზინო კოდები:

სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატას მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7077
სსიპ - რეფორმების და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7141
საინფორმაციო ტექნოლოგიების მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7142
სასწავლო ცენტრების მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7147
საგანმანათლებლო (პროფესიული და უმაღლესი) დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7251

## მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური



**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №56**

2015 წლის 24 თებერვალი, ქ. თბილისი

**„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონელი (საქონელთა ჯგუფი) (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებისა);“.

2. მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9-მე-11 პუნქტები:

„9. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი გავრცელდება იმ საქონელზეც, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით და დეკლარირდება სხვადასხვა საბაჟო დეკლარაციით, თუ საქონლის საერთო რაოდენობა და ღირებულება არ აღემატება აღნიშნული ქვეპუნქტებით განსაზღვრულ რაოდენობასა და ღირებულებას, ხოლო მისი შემოტანა და საბაჟო დეკლარაციების წარდგენა განხორციელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე პირის შემოსვლის დღიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

10. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის მისაღებად არაეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილ იმ საქონელზე, რომელიც:

ა) საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების შემდგომ პირის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსვლისას (მაგრამ არა უგვიანეს საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების დღიდან 30 კალენდარული დღისა) მასთან ერთად არ გადაადგილდება, პირი საბაჟო გამშვებ პუნქტში შევსებულ „ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში“ აცხადებს ასეთი საქონლის შემოტანის განზრახვის თაობაზე, ხოლო საბაჟო დეკლარაციისა და საქონლის წარდგენა ხორციელდება საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების დღიდან არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა;



ბ) შეღავათით სარგებლობის უფლების მქონე პირისათვის იგზავნება მის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გადაკვეთის გარეშე, პირი საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების დღიდან:

ბ.ა) არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა საგადასახადო ორგანოში წარადგენს „საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მქონე/მაძიებელი პირის განაცხადს საქართველოში შემოსატანი საქონლის შესახებ“ (დანართი №IV-06);

ბ.ბ) არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა წარადგენს საბაჟო დეკლარაციას და საქონელს;

გ) საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მაძიებელი პირის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსვლისას (მაგრამ არაუგვიანეს უფლებამოსილ ორგანოში საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან 30 კალენდარული დღისა) მასთან ერთად არ გადაადგილდება, პირი საბაჟო გამშვებ პუნქტში შევსებულ „ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში“ აცხადებს ასეთი საქონლის შემოტანის განზრახვის თაობაზე, ხოლო საბაჟო დეკლარაციისა და საქონლის წარდგენა ხორციელდება საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა;

დ) საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მაძიებელი პირისათვის იგზავნება მის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გადაკვეთის გარეშე, პირი უფლებამოსილ ორგანოში საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან:

დ.ა) არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა საგადასახადო ორგანოში წარადგენს „საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მქონე/მაძიებელი პირის განაცხადს საქართველოში შემოსატანი საქონლის შესახებ“ (დანართი №IV-06);

დ.ბ) არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა წარადგენს საბაჟო დეკლარაციას და საქონელს;

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი გავრცელდება იმ საქონელზეც, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით და დეკლარირდება სხვადასხვა საბაჟო დეკლარაციით, თუ ამ საქონლის საბაჟო ორგანოსათვის წარდგენა განხორციელდა საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების ან საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.“.

3. დანართი №IV-05-ის შემდეგ დაემატოს დანართი №IV-06 თანდართული რედაქციით.



დანართი №IV-06

საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მქონე/მაძიებელი პირის განაცხადი საქართველოში შემოსატანი საქონლის შესახებ

I. ინფორმაცია პირის შესახებ:

- 1. სახელი
- 2. გვარი
- 3. საცხოვრებელი ადგილი (ქვეყანა, მისამართი).....
- 4. მოქალაქეობა.....
- 5. სამგზავრო დოკუმენტის №..... პირადი № .....
- 6. დაბადების თარიღი .....
- 7. ქვეყანა, საიდანაც ჩამობრძანდით.....

II. ინფორმაცია საქონლის შესახებ:

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა (კგ., ცალი)

შენიშვნა: ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში მიეთითება მანქანის მარკა, მოდელი, VIN კოდი, შასის ნომერი, გამოშვების წელი.

თარიღი „.....“ ..... 20 ..... წელი  
ფიზიკური პირის ხელმოწერა .....



4. 45-ე მუხლის:

ა) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის დეკლარირებისას, როდესაც საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთი არ არის წარდგენილი ან წარდგენილია ხარვეზით, საქონლის გაშვება შესაძლებელია განხორციელდეს თავდებობის ხელშეკრულების წარდგენისას. ამასთან, ხარვეზის გამოსწორების ვადა შეადგენს უფლებამოსილ ორგანოში საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან 90 დღეს.“.

ბ) მე-14 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

5. დანართი №XI-01 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

დანართი №XI-01

#### ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია

##### I. გადაადგილების მიზანი

1. საქართველოში შემოსვლა
2. ტრანზიტი
3. საქართველოდან გასვლა

##### II. ინფორმაცია პირის შესახებ

1. სახელი
2. გვარი
3. საცხოვრებელი ადგილი (ქვეყანა, მისამართი).....
4. მოქალაქეობა.....
5. სამგზავრო დოკუმენტის №..... პირადი № .....
6. დაბადების თარიღი .....
7. ქვეყანა, საიდანაც ჩამობრძანდით.....
8. ქვეყანა, სადაც მიემგზავრებით .....
9. თან მიმაქვს ბარგი/ხელბარგი .....
10. ჩემგან დამოუკიდებლად იგზავნება ბარგი .....

**III. ინფორმაცია საქონლის შესახებ**

1. თან მაქვს ან ბარგით/ხელბარგით გადავადგილებ შემდეგ საქონელს:

ა) ნაღდი ფული (ეროვნული უცხოური ვალუტა), ჩეკები ან/და სხვა ფასიანი ქაღალდები, რომელთა ჯამური

ნომინალური ღირებულება აღემატება 30 000 ლარს, ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში

დიახ არა

ბ) იარაღი ან ასაფეთქებელი მასალა

დიახ არა

გ) ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერება

დიახ არა

დ) ანტიკვარული ან ხელოვნების ნიმუში

დიახ არა

ე) მომწამვლელი ნივთიერება ან მედიკამენტი

დიახ არა

ვ) მცენარე ან/და ცხოველი, მათი ნაწილები ან მათგან მიღებული პროდუქტი

დიახ არა

ზ) მაღალი სიხშირის რადიოელექტრონული მოწყობილობა, კავშირგაბმულობის საშუალება

დიახ არა

თ) რადიოაქტიური მასალა

დიახ არა

ი) ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი ან/და იმპორტის გადასახდელებით დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონელი

დიახ არა

კ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონელი (გრაფა ივსება პირის სურვილის შემთხვევაში)

დიახ



ლ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში (იმპორტის გადასახდელებისაგან სრულად გათავისუფლებით) მოსაქცევი, ბარგით ან ხელბარგით გადაადგილებული საქონელი

დიახ არა

2. საქართველოში შემოვდივარ მუდმივად საცხოვრებლად და განზრახული მაქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის შემოტანა, რომელიც ჩემთან ერთად არ გადაადგილდება

დიახ

3. თუ ამ ნაწილის პირველი პუნქტის „ა“-“თ“ ქვეპუნქტებში ან მე-2 პუნქტში აირჩიეთ დადებითი პასუხი, შეავსეთ ცხრილი:

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა (კგ., ცალი)

**შენიშვნა:** ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში მიეთითება მანქანის მარკა, მოდელი, VIN კოდი, შასის ნომერი, გამოშვების წელი.

4. თუ ამ ნაწილის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში აირჩიეთ დადებითი პასუხი (როგორც საქონლის საქართველოში შემოტანის, ასევე ტრანზიტით გადაადგილების დროს), შეავსეთ „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა“, გარდა ამ საქონელზე გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევისა.

5. თუ ამ ნაწილის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში აირჩიეთ დადებითი პასუხი, თქვენი სურვილისამებრ, შეგიძლიათ შეავსოთ „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა“ ან წარადგინოთ გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია, ან განახორციელოთ დეკლარირება სასაქონლო ზედნადების წარდგენით.





6. თუ ამ ნაწილის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში აირჩიეთ დადებითი პასუხი, შეავსეთ „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა“.

თარიღი „.....“ ..... 20 .....წელი

ფიზიკური პირის ხელმოწერა .....

საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლის ხელმოწერა .....ბ.ა.

(მეორე გვერდი)

**მოგესალმებათ შემოსავლების სამსახური !!!**

შემოსავლების სამსახური ვალდებულია, აღკვეთოს აკრძალული ნივთების ქვეყანაში შემოტანა. საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომელი უფლებამოსილია დაგისვით შეკითხვები, შეამოწმოს თქვენი პირადი ბარგი და ხელბარგი. თუ თქვენ შეგარჩიეს შემოწმებისათვის, საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლები მოგეპყრობიან თავაზიანად, პროფესიონალურად და დაიცავენ თქვენს უფლებებს. საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლები უპასუხებენ თქვენს შეკითხვებს.

**მნიშვნელოვანი ინფორმაცია:**

1. ნებისმიერი ოდენობით ვალუტის საქართველოში შემოტანა და მისი გატანა თავისუფლდება გადასახდელებისაგან, თუმცა, პირის მიერ ნაღდი ფულის (ეროვნული უცხოური ვალუტა), ჩეკების სხვა ფასიანი ქაღალდების, რომელთა ჯამური ნომინალური ღირებულებაც აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, საზღვარზე გადაადგილება ექვემდებარება სავალდებულო დეკლარირებას.

2. იმ შემთხვევაში, თუ პირი არ განახორციელებს სავალდებულო დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის დეკლარირებას, მის მიმართ გატარდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესაბამისი ღონისძიებები.

3. იმპორტისას გადასახდელებისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ:

ა) კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 02, 04, 06-12, 15-21 ჯგუფებისა და 0302-0307, 2201-2202 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კვების პროდუქტების იმპორტი (მათ შორის, საფოსტო გზაწინაშე შემთხვევაში), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;



ბ) 30 კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28–97 ჯგუფების შესაბამისი 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

გ) საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში ერთი კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეკუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი; ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

დ) საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28–97 ჯგუფების შესაბამისი 3000 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

4. თუ თქვენ მიერ საქართველოში შემოტანილი საქონლის პარამეტრები აღემატება „მნიშვნელოვანი ინფორმაციის“ მე-3 პუნქტში აღნიშნულს ან/და საქონლის შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა-ლიცენზია და მას არ ადეკლარირებთ ამ დეკლარაციით, თქვენ ვალდებული ხართ მოახდინოთ საქონლის დეკლარირება ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციით ან გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით ან საბაჟო დეკლარაციის წარდგენით, რისთვისაც თქვენ შეგიძლიათ:

ა) საქონელი დროებით დაასაწყობოთ საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ საბაჟო საწყობში ან საბაჟო ტერმინალში და წარადგინოთ შესაბამისი განაცხადი, ან

ბ) საქონელი თქვენ მიერ მითითებულ გაფორმების ადგილამდე გადაადგილოთ „საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით“ ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვით.

5. თუ თქვენ მიერ საქართველოდან გასატანი საქონლის საბაჟო ღირებულება შეადგენს 15 000 ლარს და მეტს, ან/და საქონლის გატანისათვის საჭიროა ნებართვა-ლიცენზია და მას არ ადეკლარირებთ ამ დეკლარაციით, თქვენ ვალდებული ხართ მოახდინოთ საქონლის დეკლარირება საბაჟო დეკლარაციით ან სასაქონლო ზედნადების წარდგენით.

6. თუ თქვენ საქართველოში დროებით შემოგაქვთ იმპორტის გადასახდელებისაგან სრულად გათავისუფლებული საქონელი, შეგიძლიათ დაადეკლარიროთ ამ დეკლარაციით.

7. თუ თქვენ საქართველოში შემოდიხართ მუდმივად საცხოვრებლად და განზრახული გაქვთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის შემოტანა (რომელიც თქვენთან ერთად არ გადაადგილდება), აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული შეღავათის მისაღებად უნდა შეავსოთ ეს დეკლარაცია, ხოლო სასაქონლო ოპერაციაში საქონლის მოსაქცევად საბაჟო დეკლარაციისა და საქონლის წარდგენა განახორციელოთ საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების დღიდან ან საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ფინანსთა მინისტრი**

**ნოდარ ხადური**

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №54**

2015 წლის 24 თებერვალი, ქ. თბილისი

**„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, მუხლი 2552) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1.28-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სმფ-ების შენახვაზე პასუხისმგებელი პირისგან მიიღოს ხელწერილი, რომ ფაქტობრივი აღრიცხვის დაწყებამდე ყველა შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტი ჩაბარებულია ბუღალტერიაში, ყველა მიღებული ფასეულობა აღებულია შემოსავალში, ხოლო გაცემული ჩამოწერილია გასავალში. ამასთან, გადასახადის გადამხდელისგან მიიღოს ხელწერილი, რომ ზედმეტობის ან/და დანაკლისის შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასახა საგადასახადო ანგარიშგებაში ან/და მიაწოდა საგადასახადო ორგანოს ინვენტარიზაციის დაწყებამდე. აგრეთვე, გადასახადის გადამხდელისგან დანართი №19-ის II ცხრილის შესაბამისად მიიღოს ინფორმაცია ინვენტარიზაციის დაწყებამდე ბოლო საანგარიშო პერიოდ(ებ)ში (რომლის მიხედვით დეკლარირების ვადა არ არის დამდგარი/გასული) მიწოდებული სმფ-ების შესახებ;“.



2.30-ე მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ დანართი №19-ის დადგენილ ვადებში შეუვსებლობის ან არასრულად შევსების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია შეავსოს დანართი №19 (მისი დანართის გარეშე) საგადასახადო ორგანოში აღნიშნული გადასახადის გადამხდელის შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, დანართი №20 არ ივსება და სმფ-ების სააღრიცხვო დოკუმენტებში აღრიცხული და ფაქტობრივი აღრიცხვის მონაცემების შედარების შედეგად აღურიცხველი სმფ-ების გამოვლენის მიზნით, 5 კალენდარულ დღეში საინვენტარიზაციო კომისია ადგენს ოქმს „ფაქტობრივად აღწერილი აღურიცხავი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამოვლენის შესახებ“ (დანართი №21).“.

3. 82-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საგადასახადო ორგანოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44<sup>4</sup>, 91<sup>2</sup>, 99-ე, 127<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 129<sup>1</sup>, 153-ე, 153<sup>1</sup>, 154<sup>1</sup>, 154<sup>2</sup>, 155<sup>1</sup>-155<sup>6</sup>, 157-ე, 157<sup>1</sup>-157<sup>3</sup>, 158-ე, 158<sup>1</sup>, 159<sup>4</sup>, 163-ე, 164-ე, 164<sup>4</sup>, 165-ე-165<sup>3</sup>, 165<sup>10</sup>, 178-ე, 179<sup>3</sup>, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.“.

4. 83-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო ორგანო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 129<sup>1</sup>, 157-ე, 165-ე, 165<sup>10</sup>, 179<sup>3</sup>, 194-ე და 195-ე მუხლებით.“.

## მუხლი 2

ამ ბრძანების ამოქმედებამდე დაწყებული ინვენტარიზაციები დასრულდეს ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული რედაქციით განსაზღვრული წესით.

## მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

**ფინანსთა მინისტრი**

**ნოდარ ხადური**



## i n s t r u q c i a

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №55**

2015 წლის 24 თებერვალი, ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111, 3.01.2011წ.) დამტკიცებული ინსტრუქციის 83-ე მუხლის:

1.მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქონლის ჩამორთმევისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი მოვალეა იმ პირს, რომლისგანაც ხდება საქონლის ჩამორთმევა, წარუდგინოს თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები (საგადასახადო ორგანოს უფროსის ბრძანება და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი).“.

2.მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საქონლის ჩამორთმევის (ამოღების) დროს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ამოიღებს მხოლოდ იმ საქონელს, რომელიც არანიშნდებულა ან ნიშნდებულა დადგენილი წესის მოთხოვნათა დარღვევით.“.

3.მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. ჩამორთმეულ საქონელს საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლები დროებით შესანახად აბარებენ შემოსავლების სამსახურის უფროსის/მოადგილის მიერ გამოყოფილ პასუხისმგებელ პირს, რომელიც აღნიშნულ საქონელს აბარებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შერჩეულ საწყობებში ჩამორთმევის განხორციელებიდან 5 დღის განმავლობაში. საქონლის გადაცემის ორივე ეტაპზე დგება მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებიც შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:



- ა) აქტის შედგენის ადგილი და თარიღი;
- ბ) აქტის შემდგენი პირების თანამდებობა, სახელი და გვარი;
- გ) ჩამორთმევის პროცედურაში მონაწილეთა (როგორც პროცედურის განმახორციელებელ პირთა, ისე მათი, ვის მიმართაც იგი განხორციელდა) სრული რეკვიზიტები;
- დ) ჩამორთმევის პროცედურის დრო;
- ე) ჩამორთმეული საქონლის დასახელება და რაოდენობა.“.

### მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

**ფინანსთა მინისტრი**

**ნოდარ ხადური**





**Semosavl ebis samsaxuris ganmarteba****შემოსავლების სამსახურის კომენტარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე****მიმოსვლის გზების, ელექტროგადამცემი ხაზების, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საკაბელო ხაზების ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება**

შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია მიმოსვლის გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, აგრეთვე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საკაბელო ხაზები.

აღნიშნული პუნქტის მიხედვით, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

1. მიმოსვლის გზები
2. ელექტროგადამცემი ხაზები
3. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საკაბელო ხაზები

**ანალიზი ა:**

მიმოსვლის გზებში უნდა ვიგულისხმოთ:

- ა) საავტომობილო გზა
- ბ) საჰაერო-საბაგირო გზა
- გ) რკინიგზა

**საავტომობილო გზა** – ხაზობრივი ნაგებობა, რომლის დანიშნულებაცაა უზრუნველყოს ავტოტრანსპორტისა და სხვა თვითმავალი საშუალებების უსაფრთხო და მოხერხებული მოძრაობა დადგენილი ნორმატიული სიჩქარეებით, ღერძული დატვირთვებით და გაბარიტებით და დატანილი იქნება საკადასტრო ნახაზებზე ან რეგისტრირებული იქნება უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.

საავტომობილო გზის ცნებაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილები, გაერთიანებულია:

ა) მიწის ვაკისი სავალი ნაწილი, ხიდები, გვირაბები, ესტაკადები, სატრანსპორტო კვანძები, წყალგატარი ნაგებობები, საყრდენი კედლები, გზის გასწვრივ მდებარე საველოსიპედო და საცალფეხო ბილიკები, ასევე განსხვავების ზოლები და მის ფარგლებში არსებული სხვა საგზაო ნაგებობანი;



ბ) მოძრაობის მართვისა და რეგულირების, ტექნოლოგიური კავშირის, განათების მოწყობილობათა ელემენტები და სხვა ნაგებობანი, მათ შორის, სპეციალური დანიშნულების სატელეფონო კავშირები, რომლებიც საჭიროა საავტომობილო გზების ნორმალური მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისათვის;

გ) საავტომობილო გზების ზედა საჰაერო სივრცე სატრანსპორტო საშუალებებისათვის დადგენილი გაზარიტების ფარგლებში;

დ) თოვლდამცავი და ხმაურდამშლელი მოწყობილობანი, სატყეო თოვლდამცავი ზოლები, ზვავსაწინაღმდეგო, ღვარცოფსაწინაღმდეგო და წყალამრიდი ნაგებობანი, გასაჩერებელი და დასასვენებელი მოედნები და ავარიის საწინაღმდეგო ჯიბეები, რომლებიც შეიძლება განლაგებული იყოს განსხვავების ზოლის გარეთ;

ე) საგზაო-საექსპლუატაციო სამსახურის შენობა-ნაგებობანი.

#### **ფაქტობრივი გარემოება I:**

საწარმო X-მა გადაწყვიტა საწარმოს ტერიტორიაზე დაეგო საავტომობილო გზა, რაზეც მომსახურების ხელშეკრულება გაუფორმა საწარმო Y-ს და გადაუხადა **100 000** ლარი.

სამუშაოების დამთავრების შემდეგ საწარმო X-მა გზა, როგორც ხაზობრივი ნაგებობა, დაარეგისტრირა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.

#### **შედეგი:**

აღნიშნული საავტომობილო გზა, როგორც მიმოსვლის გზა, გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

**საჰაერო-საბაგრო გზა** – ხაზობრივი ნაგებობა, რომელიც საბაგრო გზისთვის არსებული ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფს მოქალაქეთა გადაადგილებას ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტამდე.

#### **ფაქტობრივი გარემოება II:**

საწარმო X-მა **2011** წელს განახორციელა საჰაერო-საბაგრო გზის მშენებლობა. მოცემული საბაგრო გზა ექსპლუატაციაში შეიყვანა **2012** წელს.

#### **შედეგი:**

აღნიშნული საბაგრო გზა, როგორც მიმოსვლის გზა, გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

#### **რკინიგზა**

ხაზობრივი ნაგებობა, რომელიც მოიცავს მიწის ვაკისზე განლაგებულ სარკინიგზო ლიანდაგებს და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხიდებს, გვირაბებს, ლიანდაგის დამცავ ნაგებობებს.

#### **ანალიზი ბ:**

ელექტროგადამცემ ხაზებს უნდა მივაკუთნოთ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზები და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზები.



საჭიერო ელექტროგადამცემი ხაზი არის ღია ცის ქვეშ განთავსებული მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაა ანძებზე ან საინჟინრო ნაგებობებზე იზოლატორებითა და არმატურით დამაგრებული სადენებით ელექტროენერჯის (სიმძლავრის) გადაცემა/გადატანა;

საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი არის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) გადაცემისათვის/გადატანისათვის განკუთვნილი იზოლირებული სადენი (სადენები), რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე პარალელური შტოსაგან, შეერთებისათვის საჭირო აქსესუარებით (ქუროები, მომჭერები და სხვა არმატურა).

#### ანალიზი გ:

ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებს მიეკუთვნება გამოძახებებისა და სხვადასხვა საინფორმაციო სიგნალების ელექტრონული დამუშავების, დამისამართების (კომუტაციის), გატარების და გადაცემის ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც მოიცავს სადენიან (მათ შორის, ოპტიკურ-ბოჭკოვან), თანამგზავრულ, რადიოსიხშირულ ან ოპტიკურ ადჭურვილობას, სხვა ტექნოლოგიურ საშუალებებს და საოპერაციო ტექნიკურ რესურსებს, მათ შორის, ფიქსირებული (არხული და პაკეტური კომუტაციის, მათ შორის, ინტერნეტის) და მობილური კომუნიკაციების, ციფრული მაუწყებლობის, საეთერო და საკაბელო ქსელებს.

საგადასახადო კოდექსით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მხოლოდ საკაბელო საკომუნიკაციო ხაზი, ანუ ხილული, სადენიანი (მათ შორის ოპტიკურ-ბოჭკოვანი) ხაზი.

#### **ფაქტობრივი გარემოება III:**

საწარმო X-ს, რომელიც ახორციელებს ტელესაკომუნიკაციო მომსახურებას, საკუთრებაში გააჩნია:

ოპტიკური ქსელი - **(Fiber optical Network)** - კაბელი, ODF, სპლიტერი, ტერმინალური კოლოფი.

#### შედეგი:

ზემოთ აღნიშნული ჩამონათვალიდან ქონების გადასახადისგან გათავისუფლებულია კაბელები, როგორც საკაბელო საკომუნიკაციო ხაზები.

#### **ფაქტობრივი გარემოება IV:**

საწარმო X-ს, რომელიც ახორციელებს მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას, საკუთრებაში გააჩნია საბაზო სადგურები.

#### შედეგი:

საწარმო X-ის საკუთრებაში არსებული საბაზო სადგურები არ თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან, რადგან იგი წარმოადგენს საჭიერო საკომუნიკაციო ხაზის ელემენტს და არ მიეკუთვნება საკაბელო საკომუნიკაციო ხაზს.






## Jurnal i `gadasaxadebi s- reda qci a gTavazobT

konsul taciebs sagadasaxado, buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa `oris-buRal teria--sTan dakavSi rebul saki Txebze.

konsul taciebi Catardeba wi naswar SeTanxmebul droSi.

Cveni sakontaqto tel efonebia: 230-78-51, 5-93-79-10-77

### val utis kursi

	aSS dol ari	2.1740		0.0000
	evro	2.3844		0.0000
	girvanqa sterl ingi	3.3010		0.0000

buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa  
`oris-buRal teria- Semswavl el Ta

### s a y u r a d R e b o d

Jurnal i `gadasaxadebi s- reda qci a gTavazobT buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa `oris-buRal teria- Seswavl is daCqarebul kurss. cal keul i j gufebis dakompl eqteba moxdeba msmenel Ta Sesabamisi doneebis gaTval i swinebi T.

saswavl o process warmarTaven am dargis cnobili special istebi.

msmenel Ta miReba dawyebul ia. mecadineobebi Catardeba TqvenTvis sasurvel droSi da pi robebSi.

Cveni sakontaqto tel efonebia: 230-78-51, 5-93-79-10-77